შვედეთი
Sverige

ISET
International School of Economics at TSU
Policy Institute

აგვისტო 2025

უნარების მიხედვით ცვლილება თუ სტრუქტურული სტაგნაცია?

პანდემიის შემდგომი შრომის ბაზრის ტენდენციები საქართველოში

ავტორები:

გიორგი ნებულიშვილი
დავით კეშელავა

შენიშვნა: წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია შვედეთის ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტის შინაარსი არის ავტორ(ებ)ის პასუხისმგებლობა და არცერთ შემთხვევაში არ ასახავს შვედეთის პოზიციას.

შესავალი

პანდემიის შემდეგ საქართველოს ეკონომიკამ სწრაფად დაიწყო აღდგენა: რეალურმა მშპ-მა გადააჭარბა პანდემიამდელ ტენდენციებს, შრომის ბაზრის მაჩვენებლები კი შესამჩნევად გაუმჯობესდა. ამ ანგარიშით ვეცდებით შევაფასოთ, რეალურად ასახავს ეს აღდგენა ნამდვილ სტრუქტურულ ტრანსფორმაციას თუ ნიღბავს შრომის ბაზრის პოლარიზაციის სიღრმისეულ გამოწვევებს. სამუშაო ძალის გამოკვლევისა და ახალ სამუშაო პოზიციების მიხედვით დასაქმებულთა უნარების ჩაშლილ მონაცემებზე დაყრდნობით, კვლევამ დაადგინა, რომ ბოლო პერიოდში დასაქმების ზრდა არაპროპორციულად არის კონცენტრირებული დაბალი უნარების მომსახურების სექტორებში, ხოლო საშუალო უნარების სამუშაო ადგილების წილი მცირდება და მაღალი უნარების სამუშაო ადგილების შექმნა შეზღუდული რჩება. დეკომპოზიციის ანალიზმა აჩვენა, რომ დაბალი უნარების დასაქმების ზრდა სექტორული რელოკაციით უფროა განპირობებული, ვიდრე სექტორების შიგნით უნარ-ჩვევების კომპოზიციის ცვლილებებით. შედეგი კი ისაა, რომ შრომის ბაზრის პოლარიზაცია იზრდება, რაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს საქართველოს ზრდის მოდელის მდგრადობასა და ინკლუზიურობას. ჩვენი კვლევის დასკვნით, უნარ-ჩვევების განვითარების, პროდუქტიულობის გაუმჯობესებისა და ინკლუზიური შრომის ბაზრის მიზნობრივი მხარდაჭერის გარეშე, საქართველო სწრაფი ეკონომიკური ზრდის საფარველ ქვეშ სტრუქტურული სტაგნაციის რისკის წინაშე დგას.

უნარებზე დაფუძნებული ცვლილება თუ სტრუქტურული სტაგნაცია? პანდემიის შემდგომი შრომის ბაზრის ტენდენციები საქართველოში

ბოლო კრიზისის შემდეგ საქართველოს ეკონომიკამ შთამბეჭდავი მდგრადობა აჩვენა და ზრდის შესაძლებლობა შექმნა. 2020 წელს პანდემიის გამო რეალური მშპ მკვეთრად, დაახლოებით 6.8%-ით შემცირდა, თუმცა ქვეყნის ეკონომიკამ მალევე შეძლო აღდგენა. 2021 წელს ეკონომიკურმა ზრდამ 10%-ს გადააჭარბა და ასეთივე ტემპი შეინარჩუნა 2022 და 2023 წლებშიც, რითიც საქართველო რეგიონის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად

აღდგენადი ეკონომიკა გახდა. ასეთი სწრაფი აღდგენა ძირითადად შინამეურნეობების მაღალი მოხმარებით, გაძლიერებული საგარეო მოთხოვნით და ფულადი გზავნილებისა და კაპიტალის გაზრდილი ნაკადებით იყო განპირობებული.

2023 წლისთვის არა მხოლოდ აღდგა პანდემიით გამოწვეული გამოშვების დანაკარგები, არამედ მნიშვნელოვნად გადააჭარბა პანდემიამდელ დონეს. საქართველოს რეალური მშპ დაუბრუნდა ზრდის ტრაექტორიას და გადააჭარბა პანდემიამდელ ტენდენციებს, რითიც პოტენციური გამოშვების შეფასება გაზარდა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ, თუ გამოშვების სხვაობა 2020 წელს მკვეთრად უარყოფითი იყო, 2023 წლისთვის ის უკვე დადებითი გახდა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ რეალურმა გამოშვებამ აღდგენის განმტკიცებასთან ერთად პოტენციურ გამოშვებას გადააჭარბა (იხ. გრაფიკი 1).

გრაფიკი 1. გამოშვების ზრდა, გამოშვების სხვაობა და საქართველოს გამოშვების პოტენციალი (2017–2024)



წყარო: საქსტატი, ავტორის გამოთვლები

ბოლოდროინდელი ზრდის ტალღა მჭიდროდ იყო დაკავშირებული გეოპოლიტიკურ მოვლენებთან, განსაკუთრებით, 2022 წლის თებერვალში დაწყებულ რუსეთ-უკრაინის ომთან. 2022 წელს ფულადი გზავნილები რუსეთიდან – ძირითადად რუსი მიგრანტების მიერ პირადი მოხმარებისა და საინვესტიციო საქმიანობისთვის გადმორიცხული თანხები – 403%-ით

გაიზარდა და 2.1 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა (საქართველოს ეროვნული ბანკი), რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა შიდა მოთხოვნა. ამავდროულად, რუსი მიგრანტებისა და კაპიტალის ნაკადმა ხელი შეუწყო ბიზნესის რეგისტრაციებისა (საქსტატის მონაცემებით, 30,000-ზე მეტი ფირმა დარეგისტრირდა) და სამუშაო ძალაში მონაწილეობის მკვეთრ ზრდას: 2022-2023 წლებში საქართველოში თითქმის 115,000 ადამიანმა გადმოინაცვლა. ასეთმა შემოდინებამ წაახალისა ინვესტიციების შემოსვლა და მომსახურების სექტორების ზრდა. მნიშვნელოვნად დაჩქარდა რეექსპორტიც, განსაკუთრებით ავტომობილებისა და მანქანა-დანადგარების, რომელიც 2019 წლიდან 2024 წლამდე 6.6-ჯერ გაიზარდა. რუსეთი, სომხეთი, ყაზახეთი და ყირგიზეთი გახდნენ რეექსპორტის ძირითადი მიმართულებები, რამაც გააფართოვა ტრანსპორტისა და ლოგისტიკის სექტორები. ამ მოვლენებთან ერთად, პანდემიის დროინდელმა ფისკალურმა სტიმულმა მეტად საჭირო ბიძგი მისცა ერთობლივ მოთხოვნას, ხოლო მომდევნო წლებში ეკონომიკის დესტაბილიზაციის გარეშე, თანდათანობით შემცირდა.

თუმცა, შესანიშნავი ზრდის ტემპის მიუხედავად, მნიშვნელოვანი სტრუქტურული კითხვები ჩნდება. ეკონომიკურმა ზრდამ, რომელიც ეფუძნება მოკლევადიან მამოძრავებელებს (მოხმარების ბუმები, ფულადი გზავნილების ნაკადების ზრდა ან რეექსპორტი) შეიძლება სულაც არ უზრუნველყოს პროდუქტიულობის ან ცხოვრების დონის მდგრადი ზრდა. თუ ზრდას არ ახლავს უფრო ღრმა სტრუქტურული ცვლილება – მათ შორის სამუშაო ძალის გადაადგილება მაღალი პროდუქტიულობის სექტორებისკენ და შემოსავლების ფართოდ განაწილება – მან შეიძლება ვერ შეამციროს უთანასწორობა ან ვერ უზრუნველყოს გრძელვადიანი მდგრადობა.

უფრო მეტიც, საქართველოს დამოკიდებულება ისეთ მერყევ საგარეო ფაქტორებზე, როგორიცაა ფულადი გზავნილები (რომელიც, საქართველოს ეროვნული ბანკისა და საქსტატის მონაცემებით, 2022 წელს მშპ-ის 17.5%-ს შეადგენდა, 2023 წელს კი – 13.5%-ს) და ნედლეულის ფასები, ეკონომიკას მნიშვნელოვნად მოწყვლადს ხდის. ამ ნაკადების არარსებობის შემთხვევაში, სწრაფი ზრდის ტემპის შესანარჩუნებლად ძირეული რეფორმების გატარება და დივერსიფიკაცია იქნებოდა საჭირო.

შესაბამისად, საჭიროა სიღრმისეული შეფასება იმის დასადგენად, განიცდის თუ არა ეკონომიკა უფრო ინკლუზიურ და პროდუქტიულობაზე

ორიენტირებულ მოდელზე ტრანზიციას. კვლევა ცდილობს პასუხი გასცეს მთავარ შეკითხვას: ითარგმნება თუ არა საქართველოს ეკონომიკური ზრდა სამუშაო ძალის უფრო მაღალი კვალიფიკაციისა და პროდუქტიულობის სექტორებში გადაადგილებაში, რაც ნამდვილი სტრუქტურული ტრანსფორმაციის მახასიათებელია.

შრომის ბაზრის დინამიკა საქართველოში: აღდგენა და სტრუქტურული გამოწვევები

ქვეყნის ბოლოდროინდელი ეკონომიკური განვითარების ხარისხის შესაფასებლად შრომის ბაზრის ტენდენციების სიღრმისეული შესწავლა გადამწყვეტია. 2017 წლიდან 2023 წლამდე მთლიანი დასაქმება ზოგადად დადებით ტრაექტორიას მიჰყვებოდა, მიუხედავად 2020 წელს დაწყებული COVID-19-ის კრიზისისდროინდელი მკვეთრი ვარდნისა. 2020-2021 წლებში დასაქმებულთა რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირდა, თუმცა მომდევნო წლებში მუდმივად იზრდებოდა. 2024 წლისთვის კი დასაქმების დონემ დაახლოებით 1.4 მილიონს მიაღწია (იხ. გრაფიკი 2).

უმუშევრობის დონე, პანდემიამდელ პერიოდში 17-20%-ს შორის მერყეობდა, რაც უჩვეულოდ მაღალი მაჩვენებელია. 2021 წლიდან მუდმივი კლება დაიწყო და 2023 წლისთვის დაახლოებით 14%-მდე დაეცა (იხ. გრაფიკი 2). ეს მიუთითებს, რომ პანდემიის შემდგომი ეკონომიკური ზრდა სამუშაო ადგილების შექმნაში აისახა.

გრაფიკი 2. დასაქმებისა და უმუშევრობის ტენდენციები საქართველოში (2017–2024)



წყარო: საქსტატი, ავტორის გამოთვლები

დასაქმების აღდგენასა და უმუშევრობის კლებასთან ერთად, ხელფასების დინამიკაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. 2018-2020 წლებში აშკარა იყო როგორც ნომინალური, ისე რეალური ხელფასების სტაგნაცია, თუმცა 2021 წლიდან ხელფასების ზრდა მკვეთრად დაჩქარდა. საშუალო ნომინალური ხელფასები სწრაფად გაიზარდა, ხოლო რეალური ხელფასები (ინფლაციით კორექტირებული) ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში პირველად გაიზარდა (იხ. გრაფიკი 3).

გრაფიკი 3. ნომინალური და რეალური ხელფასების დინამიკა საქართველოში (2017–2024)



წყარო: საქსტატი, ავტორის გამოთვლები

პოზიტიური დინამიკის მიუხედავად, ძირეული პრობლემები უცვლელი რჩება. ახალი დასაქმების უდიდესი ნაწილი კონცენტრირებული იყო დაბალი და საშუალო პროდუქტიულობის მომსახურების სექტორებში, საიდანაც მობილობა მაღალი პროდუქტიულობის სექტორებში შეზღუდულია. კვლავ პრობლემაა ფართოდ გავრცელებული არაფორმალური დასაქმება – განსაკუთრებით სოფლის მეურნეობასა და მცირე მასშტაბის მომსახურების საქმიანობებში – და სამუშაო ძალის დიდი ნაწილის არასრულად გამოყენება. 2024 წლისთვის სამუშაო ძალის არასრული გამოყენების მაჩვენებელი, რომელიც მოიცავს არასრული დასაქმებასა და იმედდაკარგულ მუშახელს, 28.8%-ს შეადგენდა. გარდა ამისა, 2024 წელს სამუშაო ძალაში მონაწილეობის მაჩვენებელი შედარებით დაბალ დონეზე – 54.8%-ზე დარჩა (საქსტატი).

შრომის ბაზრის დინამიკის გააზრება დასაქმების ზრდაში სექტორული წვლილის შესწავლით იწყება. პანდემიამდელ პერიოდში დასაქმების ზრდაზე ძლიერ ზეგავლენას სოფლის მეურნეობაში დასაქმების კლება ახდენდა. სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის სექტორზე მუდმივად და მკვეთრად კლებადი წვლილი მოდიოდა დასაქმებაში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სამუშაო ძალა მუდმივად ტოვებდა სოფლის მეურნეობის

და საარსებო წყაროზე დაფუძნებული აქტივობების სექტორს[1]. ეს სტრუქტურული გადინება თანხვედრაში იყო მშენებლობის, საბითუმო და საცალო ვაჭრობის, ტრანსპორტისა და სასაწყობე მეურნეობის, განთავსებისა და კვების სერვისებში სამუშაო ძალის ზრდასთან, რაც გამოთავისუფლებული სამუშაო ძალის ნაწილობრივ უფრო ურბანულ და ნახევრად ფორმალურ სექტორებში გადადინებაზე მიუთითებდა.

2020 წლის COVID-19-ის კრიზისმა სექტორული ასიმეტრია გამოიწვია, რადგან განსხვავებული ხარისხით, მაგრამ შეაფერხა სხვადასხვა ინდუსტრიის შრომის ბაზრები და გამოშვება. პირდაპირ მომსახურებასა და შრომის მაღალ ინტენსიურობაზე დამოკიდებულების გამო, პანდემიური შოკის დროს განთავსებისა და კვების სერვისებმა განსაკუთრებით განიცადა დასაქმების მკვეთრი ვარდნა. მშენებლობისა და მრეწველობის სექტორებშიც მნიშვნელოვანი შეფერხებები დაფიქსირდა. რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, საბითუმო და საცალო ვაჭრობის სექტორმა შეინარჩუნა მდგრადობა და განაგრძო დასაქმების ზრდა კრიზისის პიკშიც კი. ეს მდგრადობა ხაზს უსვამს საცალო სერვისების არსებით როლს და აჩვენებს, რომ ლოქდაუნით გამოწვეული შეფერხებების ფონზეც კი სექტორს აქვს უნარი, სწრაფად გადააწყოს სადისტრიბუციო არხები.

2021 წლიდან დასაქმების ლანდშაფტი კიდევ ერთხელ შეიცვალა, ამჯერად სექტორებს შორის ფართო სპექტრის აღდგენისკენ (იხ. გრაფიკი 4). აღმოჩნდა, რომ მშენებლობისა და საბითუმო და საცალო ვაჭრობის სექტორები გახდნენ დასაქმების ძირითადი მამოძრავებელი ძალა, რომლებზეც მოდის დასაქმების ზრდის დიდი წილი. კერძოდ, მშენებლობის სექტორი მუდმივად იზრდება, რაც შესაძლოა მეტწილად პანდემიით გამოწვეული შეჩერების შემდეგ საჯარო ინფრასტრუქტურული პროექტების გაგრძელებით და კერძო უძრავი ქონების მშენებლობით იყო განპირობებული.

[1] იხ.: Georgia's Growth Dilemma: Structural Transformation, Inequality, and the Future of Inclusive Development

გრაფიკი 4. სექტორული წვლილი დასაქმებაში საქართველოში (2018–2024)



ამავდროულად, 2022 და 2023 წლებში სულ უფრო მეტი სამუშაო ძალა აითვისა მრეწველობამ, რაც გვაფიქრებინებს, რომ ადგილობრივმა წარმოებამ აღდგენა დაიწყო და შესაძლებელია, ინდუსტრიული განახლების ადრეული ნიშნებიც გაჩნდა. ტურიზმისა და სასტუმროს ბიზნესების გახსნა ძლიერი ბიძგი აღმოჩნდა განთავსებისა და კვების მომსახურებისთვის, თუმცა ამ სექტორების საერთო წონა დასაქმების სტრუქტურაში მერყეევია. გაიზარდა ტრანსპორტისა და სასაწყობე მეურნეობის წილიც შრომის ბაზარზე, რაც, სავარაუდოდ, დაკავშირებულია საქართველოს განვითარებადი ვაჭრობისა და რეექსპორტის დინამიკაში ლოგისტიკის სულ უფრო მზარდ მნიშვნელობასთან.

სექტორები, როგორიცაა ინფორმაცია და კომუნიკაცია, ზომიერად იზრდება, თუმცა მათი წვლილი საერთო დასაქმებაში მოკრძალებული იყო, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ მაღალი პროდუქტიულობის ან ცოდნა-ინტენსიური

დასაქმების სექტორების გაფართოებასთან დაკავშირებით გამოწვევები არსებობს. ეს კვლავ იმაზე მიანიშნებს, რომ საქართველოს შრომის ბაზრისთვის დამახასიათებელია დასაქმება შედარებით დაბალი პროდუქტიულობის მომსახურების სექტორებში[2].

პოლარიზაცია და უნარების ცვლილებები საქართველოს შრომის ბაზარზე

მიუხედავად იმისა, რომ დასაქმებისა და ხელფასების აგრეგირებული მაჩვენებლები გაუმჯობესდა, ის სრულად მაინც ვერ ასახავს საქართველოში შრომის მოთხოვნის ცვალებად ბუნებას. ზედაპირს მიღმა ეკონომიკა გადის იმ უნარების უფრო ღრმა ტრანსფორმაციას, რაზეც არსებობს მოთხოვნა, რადგან რიგი სექტორები გადადის ცოდნა-ინტენსიური, უფრო მაღალი დამატებული ღირებულების საქმიანობებზე, მაშინ როდესაც სხვა სექტორები რჩება დაბალი უნარების, დაბალი პროდუქტიულობის დასაქმებაზე ორიენტირებული. იმის შესაფასებლად, ნიშნავს თუ არა ბოლოდროინდელი შრომის ბაზრის განვითარება ნამდვილ სტრუქტურულ პროგრესს, აუცილებელია შევაფასოთ, როგორ ხდება დასაქმების ცვლილება უნარების დონეებს შორის. გადადის თუ არა სამუშაო ძალა უფრო მაღალი უნარების, მაღალანაზღაურებად პოზიციებზე სექტორებს შორის, თუ ცვლილებები ხდება ძირითადად სექტორების შიგნით ინარების ამაღლებისა და პროდუქტიულობის ზრდის მეშვეობით?

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად აუცილებელია გავაანალიზოთ დასაქმების განაწილება უნარების სხვადასხვა დონეს შორის და შევისწავლოთ შრომის ბაზრის პოლარიზაციის ტენდენციები.

აუტორის და (Autor, 2010) და გუსისა და მენინგის (Goos & Manning, 2007) მიერ შემუშავებული ჩარჩოს მიხედვით, პროფესიები შეიძლება უნარების სპექტრის მიხედვით კლასიფიცირდეს. დაბალი უნარების პროფესიები ძირითადად შედგება რუტინული მექანიკური და კოგნიტური ამოცანებისგან, სადაც პროცედურები მეორდება და დავალებების სირთულეც შეზღუდულია. საშუალო უნარის პოზიციაზე დავალებების პროფილი უფრო დაბალანსებულია ან როლები გარდამავალია, სადაც

[2] Georgia's Growth Dilemma: Structural Transformation, Inequality, and the Future of Inclusive Development

სირთულის დონე შედარებით ზომიერია. მათგან განსხვავებით, მაღალი უნარების პოზიციებზე საჭიროა არარუტინული ანალიტიკური და ინტერაქტიული დავალებების შესრულება, რისთვისაც პრობლემის გადაჭრის, კრიტიკული აზროვნებისა და კომუნიკაციის უნარებია საჭირო (უნარების დონის კლასიფიკაციის მეთოდოლოგიის სანახავად იხ. დანართი).

მე-5 გრაფიკზე ვხედავთ, რომ 2020-2024 წლებში საქართველოში დასაქმების უნარების სტრუქტურამ მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა. დაბალი უნარების დასაქმების წილი მუდმივად იზრდებოდა და 2020-დან 2024 წლამდე 29%-დან 34%-მდე გაიზარდა, რაც იმას ნიშნავს, რომ სამუშაო ადგილები მეტწილად ისეთ პოზიციებზე იქმნებოდა, რომლებიც სტანდარტულად ასოცირდება რუტინულ დავალებებთან, შეზღუდულ სწავლებასა და დაბალ ხელფასებთან.

გრაფიკი 5. უნარების დონეების დეკომპოზიცია (2020–2024)



წყარო: საქსტატი, ავტორის გამოთვლები

ამავდროულად, საშუალო უნარების დასაქმების დონე – ისტორიულად ქართული სამუშაო ძალის ბირთვი – 45%-დან 41%-მდე შემცირდა. ეს შემცირება საშუალო დონის უნარების პროფესიების თანდათანობით ეროზიაზე მიუთითებს, რაც შრომის ბაზრის პოლარიზაციის საერთაშორისო ტენდენციებსა და ავტომატიზაციით მოტანილ ცვლილებებს ასახავს.

მაღალი უნარების დასაქმება შედარებით სტაბილური იყო და 2020-2021 წლებში და 26%-27%-მდე მერყეობდა, რის შემდეგაც 2024 წლისთვის 25%-

მდე დაეცა. ეს სტაგნაცია მიუთითებს, რომ მაღალი ღირებულების, ცოდნა-ინტენსიურმა სამუშაოებმა ფეხი ვერ აუწყო სწრაფ ეკონომიკურ ზრდას. ყველა ეს ტენდენცია მიგვანიშნებს საქართველოს შრომის ბაზრის პოლარიზაციაზე, სადაც დაბალი კვალიფიკაციის სამუშაოები იზრდება, საშუალო უნარების სამუშაო ადგილები კი, პირიქით, მცირდება.

უნდა აღინიშნოს, რომ დასაქმება გაიზარდა სამივე უნარის კატეგორიაში; თუმცა, ყველაზე სწრაფი ზრდა დაბალი უნარების პროფესიებში მოხდა, საშუალო უნარის სამუშაო ადგილები კი ყველაზე ნელა გაიზარდა, რაც ხსნის დასაქმების განაწილებაში არსებულ ცვლილებებს.

მე-6 გრაფიკი გვიჩვენებს, რომ 2020–2024 წლებში საქართველოს შრომის ბაზრის პოლარიზაციის ინდექსი მუდმივად იზრდებოდა – მაჩვენებელი ამ პერიოდში 1.24-დან 1.46-მდე გაიზარდა. ეს აღმავალი ტენდენცია მიგვანიშნებს, რომ დაბალი და მაღალი უნარების პოზიციებზე დასაქმების წილებს შორის სხვაობა სულ უფრო იზრდება, მეტწილად საშუალო უნარების პოზიციების ხარჯზე. პოლარიზაციის ინდექსი გვაჩვენებს, რამდენად გადადის სამუშაო ძალაზე მოთხოვნა რუტინული, საშუალო დონის პოზიციებიდან (მაგ.: საკანცელარიო და სახელოსნო პოზიციებიდან) მაღალი უნარების პროფესიულ პოზიციებზე ან დაბალი უნარების მომსახურებისა და საბაზისო პოზიციებზე.

გრაფიკი 6. შრომის ბაზრის პოლარიზაციის ინდექსი (2020–2024)



წყარო: საქსტატი, ავტორის გამოთვლები

შრომის ბაზრის პოლარიზაცია სერიოზული გამოწვევაა ინკლუზიური განვითარებისთვის. საშუალო უნარების სამუშაო ადგილების კლება

აფერხებს მაღალი უნარების კატეგორიაში მობილობას და ამცირების საშუალო ფენის, როგორც ეკონომიკის მამოძრავებელი ძალის, როლს. ამავდროულად, დაბალი უნარების დასაქმების ზრდა – ხშირად არაფორმალური, დაბალანაზღაურებადი და სოციალური დაცვის გარეშე – აუარესებს სამუშაო ადგილების ხარისხს და აღრმავებს შემოსავლების უთანასწორობას. თუ მაღალი უნარების დასაქმება და უნარების განახლებაში ჩადებული ინვესტიციები ერთმანეთთან თანხვედრაში არ გაიზრდება, ვდგებით რისკის წინაშე, რომ ეკონომიკური ზრდით ნაკლები ადამიანი ისარგებლებს. ეკონომიკური ლიტერატურა აღნიშნავს, რომ მუდმივმა პოლარიზაციამ შეიძლება შეაფერხოს გრძელვადიანი პროდუქტიულობის ზრდა, შეამციროს შრომის ბაზრის ინსტიტუტების ეფექტიანობა და ხელი შეუწყოს ეკონომიკურ ფრაგმენტაციას (Acemoglu & Autor, 2011; World Bank, 2019; OECD, 2017).

ცვლილებები უნარებზე დაფუძნებული დასაქმებაში: დაკვირვებები შიდასექტორულ და სექტორთაშორის ეფექტებზე

ამ ქვეთავში წარმოგიდგენთ დასაქმების ზრდის შიდასექტორულ და სექტორთაშორის ეფექტების ჩაშლასა და უნარების დონეებზე დაფუძნებულ ანალიზს, რათა გავიგოთ, რა მექანიზმები განაპირობებს უნარების რეალოკაციას საქართველოს ფორმირებად ეკონომიკაში.

შიდასექტორული ეფექტები გვიჩვენებს დასაქმების კომპოზიციაში უნარების დონის მიხედვით ცვლილებებს, რომლებიც ინდივიდუალურ სექტორებში ხდება. ეს ცვლილებები შეიძლება გამოწვეული იყოს ტექნოლოგიური სიახლეების ათვისებით, გაუმჯობესებული მენეჯერული პრაქტიკით ან სამუშაო ძალის უნარების გაუმჯობესებით, რაც დავალებებისა და როლების რეალოკაციას იწვევს ეკონომიკის ზოგადი სექტორული სტრუქტურის ცვლილების გარეშე.

ამის საპირისპიროდ, სექტორთაშორისი ეფექტები ავლენს ცვლილებებს დასაქმების ზოგადი უნარების კომპოზიციაში, რომელიც მუშახელის სექტორებს შორის გადაადგილებიდან გამომდინარეობს. როდესაც მუშახელი დაბალი უნარების სამუშაო ადგილებით დომინირებული სექტორიდან გადადის იმ სექტორში, რომელზეც მოდის საშუალო ან მაღალი

უნარების პროფესიების მაღალი წილი, ეკონომიკის მთლიანი უნარების პროფილი უმჯობესდება. ეს რეალოკაცია ხშირად ასოცირდება სტრუქტურულ ტრანსფორმაციასთან, მაშინაც კი, თუ თითოეული სექტორის შიგნით უნარების კომპოზიცია უცვლელი რჩება.

შიდასექტორულ და სექტორთაშორის ეფექტებთან ერთად, ურთიერთქმედების ეფექტი ითვალისწინებს სიტუაციებს, სადაც სექტორული რეალოკაცია და შიდასექტორული ცვლილებები ერთდროულად ხდება და ერთმანეთს აძლიერებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი ასახავს, როგორ მოქმედებს სექტორებს შორის დასაქმების ცვლილებები ამავე სექტორებში არსებული უნარების სტრუქტურაზე. მაგალითად, თუ მუშახელი დაბალი უნარების სექტორებიდან (მაგ.: დაბალი უნარების მომსახურება) მაღალი უნარების სექტორებში (მაგ.: ინფორმაცია და კომუნიკაცია), რომელშიც უკვე მიმდინარეობს შიდა უნარების ამაღლების პროცესი, ინტერაქციის ეფექტი გვაძლევს ასეთ სურათს: მაღალი უნარების სექტორში გადადის არა მხოლოდ სამუშაო ძალა, არამედ თავად სექტორს შიგნით იზრდება უნარებზე მოთხოვნა.

2021-2024 წლებში საქართველოს შრომის ბაზრის ტრანსფორმაცია გულისხმობდა როგორც შიდასექტორულ ტექნოლოგიურ განახლებას, ისე სექტორებს შორის სტრუქტურულ რეალოკაციას და ორივე მათგანი განსხვავებულად აისახებოდა სამუშაო ძალაზე მათი უნარების დონეების მიხედვით. უნარების ჯგუფის მიხედვით დასაქმების ცვლილებების ჩაშლა შიდასექტორულ, სექტორთაშორის და ურთიერთქმედების ეფექტებად გვაჩვენებს, რომ დაბალი კვალიფიკაციის სამუშაო ადგილების ზრდა მეტწილად სექტორთაშორის ეფექტებით იყო გამოწვეული. კერძოდ, დასაქმება სოფლის მეურნეობიდან ისეთ შრომა-ინტენსიურ სერვისების სექტორებში გადავიდა, როგორებიცაა მშენებლობა, განთავსება, საბითუმო და საცალო ვაჭრობა. ამ სექტორებში დაბალი უნარების დასაქმება მუდმივად იზრდება. მაგალითად, მშენებლობის სექტორში[3] დაბალი უნარების მქონე მუშახელის წილი თუ 2020 წელს 63.5% იყო, 2024 წელს 68.9%-ს მიაღწია.

[3] გლობალურად, მშენებლობის სექტორი გამოირჩევა შრომა-ინტენსიურობით, სადაც სამუშაოების დიდი ნაწილი რუტინულია ან ხელით სრულდება (მაგ., ფიზიკური მუშაობა, ძირითადი აღჭურვილობის მოხმარება). გუსის, მენინგისა და სალომონსის (Goos, Manning და Salomons, 2009) და აუტორის (Autor, 2010) კვლევები ხშირად აფასებენ მშენებლობას, როგორც სექტორს, სადაც მაღალია დაბალი და საშუალო უნარების მუშახელის კონცენტრაცია.

ანალოგიურად, ტრანსპორტისა და სასაწყობე მეურნეობის[4] სექტორშიც იზრდება დაბალი უნარების მუშახელზე მოთხოვნა და 2024 წლისთვის 75% შეადგინა.

მე-7 გრაფიკზე ვხედავთ, რომ დაბალი უნარების შრომისთვის შიდასექტორული კომპონენტი დადებითია, მაგრამ მნიშვნელოვნად უფრო მცირეა ვიდრე სექტორთაშორისი ეფექტი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ დაბალი უნარების დასაქმების ზრდას განაპირობებს როგორც ინდივიდუალურ სექტორებში დაბალი უნარების მუშაკების მზარდი წილი, ისე ფართო სტრუქტურული გადანაცვლება ძირითადად დაბალი უნარების სექტორებისკენ.

[4] ეს სექტორიც რუტინულად ინტენსიურ სექტორად ითვლება, რომელიც საოპერაციო და ხელით შესასრულებელ სამუშაოებს გულისხმობს (მაგ., მანქანის მართვა, ტვირთების გადაზიდვა, ლოგისტიკური დავალებები), რითიც აიხსნება სექტორის მიდრეკილება დაბალი უნარების სამუშაო ძალისადმი. ავტომატიზაცია უკვე ნაწილობრივ ახდენს გავლენას სექტორზე, თუმცა საქართველოში დაბალტექნოლოგიური ლოგისტიკა და არაფორმალური დასაქმება ჯერ კიდევ ფართოდაა გავრცელებული, შესაბამისად, დაბალი უნარების სამუშაო ძალის წილიც კვლავ მაღალი რჩება.

გრაფიკი 7. დასაქმების ზრდის ჩაშლა უნარების დონეების მიხედვით: შიდასექტორული, სექტორთაშორისი და ურთიერთქმედების ეფექტები, 2024 წლის მონაცემები 2021 წელთან მიმართებაში



წყარო: საქსტატი, ავტორის გამოთვლები

საპირისპირო სურათი გვაქვს საშუალო უნარების სამუშაო ძალის შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ სტრუქტურული რეალოკაცია (სექტორთაშორისი ეფექტი) აქაც მნიშვნელოვანია, საშუალო უნარების დასაქმების კორექტირება მეტწილად უარყოფითია სექტორებს შიგნით, განსაკუთრებით იმ სექტორებში, რომლებიც ავტომატიზაციას ან ეფექტიანობის ზრდას განიცდიან. ასეთ სექტორებში, როგორიცაა მრეწველობა და საჯარო ადმინისტრაცია, საშუალო უნარების ინტენსიურობა სტაბილურია იზრდება (იხ. დანართი, ცხრილი 1), მაგრამ საშუალო უნარების სამუშაო ადგილების ზოგადი წმინდა ზრდა ზომიერი რჩება. ეს ნიმუში მიუთითებს გადაადგილების წნეხზე, საშუალო უნარების სამუშაო ძალა სავარაუდოდ "გაიჭედა" სულ უფრო მზარდ დაბალი უნარების მომსახურების სამუშაო ადგილების და მაღალი უნარების პროფესიულ სამუშაო ადგილებს შორის.

ანალოგიურო დინამიკა გვაქვს მაღალი უნარების დასაქმებაშიც, თუმცა უფრო მცირე მასშტაბით. ამ ჯგუფისთვის ზრდა ძირითადად

განპირობებული იყო სექტორთაშორისი რეალოკაციით, განსაკუთრებით უნარ-ინტენსიურ სექტორებისკენ, როგორიცაა ინფორმაცია და კომუნიკაცია, განათლება და პროფესიული და სამეცნიერო საქმიანობები. ამ სექტორებში მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის კონცენტრაცია მუდმივად მაღალია და ხშირად აღემატება 70-80%-ს. ეს სექტორი ხშირად იზიდავს სამუშაო ძალას დაბალი პროდუქტიულობის სექტორებიდან (მაგ. სოფლის მეურნეობა და საბაზისო სერვისები). ამის საპირისპიროდ, მაღალი უნარების დასაქმებისთვის შიდასექტორული ეფექტები უარყოფითია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სექტორებში შიდა უნარების ამაღლებამ მნიშვნელოვნად ვერ წაახალისა ზოგადად მაღალკვალიფიციური სამუშაო ადგილების ზრდა ამ პერიოდში.

თუმცაღა, აღსანიშნავია, რომ მთლიანი დასაქმების ზრდა მასშტაბის თვალსაზრისით მაღალი უნარების დასაქმებისთვის იმდენად დიდი არ იყო, რამდენადაც – დაბალი უნარების დასაქმებისთვის. ეს იმას ნიშნავს, რომ მოთხოვნა მაღალი კვალიფიკაციის უნარებზე კი იზრდება, თუმცა ამ ტიპის სამუშაოების შემქნის მასშტაბი ჩამორჩება ფართო სტრუქტურული ცვლილებების ტემპს.

საერთო ჯამში, ეს დინამიკა მოწმობს, რომ შრომის ბაზრის ტრანსფორმაცია სეგმენტირებული ხასიათისაა: დაბალი უნარების სამუშაო ადგილები იზრდება სექტორული ცვლილებების ხარჯზე, საშუალო უნარების სამუშაო ადგილებზე წნეხის ეფექტი ჰქონდა ტექნოლოგიურ ცვლილებებს, მაღალი უნარების დასაქმება კი სელექციურად იზრდება, მეტწილად პროდუქტიულობასა და ცოდნაზე ორიენტირებულ სექტორებში.

დასკვნა

პანდემიის შემდეგ საქართველოს ეკონომიკამ სწრაფად დაიწყო აღდგენა, თუმცა შრომის ბაზრის დინამიკის სტრუქტურა ცხადყოფს, რომ ტრანსფორმაცია არათანაბარი და უთანასწორო. მართალია, აგრეგირებული ინდიკატორები – მშპ, დასაქმება, ხელფასები – იზრდება, თუმცა დასაქმების ზრდის ხარისხი და კომპოზიცია იმაზე მიუთითებს, რომ შრომის ბაზარი პოლარიზებული და სეგმენტირებულია.

უნარების დონეების მიხედვით დასაქმების დეკომპოზიცია ადასტურებს, რომ შრომის ბაზარი პოლარიზებულია. დაბალი უნარების დასაქმება მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც მეტწილად დაბალპროდუქტიულ მომსახურების სექტორში სტრუქტურულმა ცვლილებამ განაპირობა. საშუალო უნარების პროფესიები, რომელიც ერთ დროს სამუშაო ძალის ხერხემალს წარმოადგენდა, მცირდება – მცირდება ამ პროფესიების წილი როგორც მთლიან დასაქმებაში, ისე იმ სექტორებში, რომლებიც ტექნოლოგიურ გაუმჯობესებას გადის. მაღალი უნარების დასაქმება შედარებით ზომიერად გაიზარდა და კონცენტრირებულია მაღალი პროდუქტიულობისა და ცოდნის სექტორებში.

დასაქმებაში უნარების სტრუქტურის ეს ცვლილება მიუთითებს, რომ საქართველოს ამჟამინდელი ზრდის ტრაექტორია ჯერ კიდევ არ არის მაღალი პროდუქტიულობის, ინკლუზიური შრომის ბაზრის განვითარებისკენ მიმართულ ფართო სპექტრის ტრანზიციაზე. მზარდი დამოკიდებულება დაბალი უნარების მომსახურების სამუშაო ადგილებზე და მაღალი უნარების სამუშაო ადგილების შექმნის შეზღუდული მასშტაბი ზრდის კითხვებს ბოლოდროინდელი ეკონომიკური ზრდის მდგრადობის შესახებ.

უფრო მეტიც, შრომის ბაზრის პოლარიზაციის ინდექსი და უნარების დეკომპოზიციის შედეგები ერთობლივად მიუთითებენ, რომ ბოლოდროინდელი დასაქმების ზრდა უფრო მეტად ყალიბდება სექტორული გადაადგილებით, ვიდრე შიდა უნარების გაუმჯობესებით ან ინოვაციით. ეს დინამიკა ხაზს უსვამს საქართველოს ფორმირებადი ეკონომიკური მოდელის დეტალური შესწავლის საჭიროებას – მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ის, თუ რამდენი სამუშაო ადგილი იქმნება, არამედ ისიც, თუ რა ტიპისაა ეს სამუშაო ადგილი, რომელ სექტორებში და ვისთვის.

დანართი

უნარების დონის კლასიფიკაციის მეთოდოლოგია

საქართველოს სამუშაო ძალის კვალიფიკაციის სტრუქტურის შესაფასებლად სამუშაო ძალის გამოკვლევის (LFS) მიკრომონაცემების გამოყენებით, ჩვენ შევიმუშავეთ ორსაფეხურიანი მეთოდოლოგია, რომელიც პროფესიული დავალებების შინაარსის ბოლოდროინდელ ემპირიულ კვლევაზეა დაფუძნებული.

საფეხური 1: დავალების შინაარსის განსაზღვრა ISCO-08 პროფესიების კლასიფიკაციის საფუძველზე. ეს საფეხური ეყრდნობა კვლევას *"427 ოთხნიშნა ISCO-08 პროფესიის რუტინული და არარუტინული დავალების შინაარსის შეფასება"*, რომელიც მიჰაილოვმა და ტიჯდენსმა ჩაატარეს 2019 წელს (Mihaylov and Tijdens, 2019). ეს ნაშრომი დეტალურად აფასებს თითოეულ დავალების შინაარსს ხუთ განსხვავებულ განზომილებაში ყოველი ISCO-08 4-ნიშნა პროფესიული კოდისთვის:

- რუტინული კოგნიტური (RC)
- რუტინული ხელით შესასრულებელი სამუშაო (RM)
- არარუტინული ანალიტიკური (NRA)
- არარუტინული ინტერაქტიული (NRI)
- არარუტინული ხელით შესასრულებელი სამუშაო (NRM)

ავტორებმა ეს საზომები შექმნეს აშშ-ის O*NET-ის ამოცანების აღწერილობების გადაყვანით ევროპული ISCO ჩარჩოს ენაზე, რისთვისაც გამოიყენეს ევროპის სამუშაო პირობების გამოკითხვა და სხვა ჰარმონიზებული მონაცემთა ბაზები. შედეგად, თითოეულ პროფესიას ენიჭება დავალებათა წილის ვექტორი, რომელიც აფასებს, თუ რა ხარისხით არის ის დამოკიდებული სხვადასხვა ტიპის ამოცანებზე.

საფეხური 2: უნარების დონის კლასიფიკაცია ამოცანების ინტენსივობისა და სირთულის მიხედვით

მეორე საფეხურზე, ჩვენ ეს ხუთგანზომილებიანი დავალებების პროფილები გადავიყვანეთ სკალარულ უნარების კლასიფიკაციაში. გუს, მენინგისა და სალომონსის (Goos, Manning, and Salomons, 2009), ასევე ავტორის, ლევისა და მურნანეს (Autor, Levy, and Murnane, 2003) მიდგომაზე დაყრდნობით, ყოველი დავალების ტიპი შევწონეთ მისი ფარდობითი სირთულისა და

სწავლის მრუდის მიხედვით. რუტინული ხელით შესასრულებელი დავალებები ყველაზე ნაკლებ უნარებს ითხოვს, ხოლო არა-რუტინული ანალიტიკური ამოცანები – ყველაზე მეტს.

შეწონილი საშუალო ქულა გამოითვალა ყოველი ISCO კოდისთვის, და ამ ქულების განაწილების საფუძველზე გამოვიყენეთ ზღვრული მნიშვნელობები საბოლოო **უნარების დონის კლასიფიკაციის** მისანიჭებლად:

- **დაბალი უნარი**: პროფესიები, რომლებშიც დომინირებს რუტინული ხელით შესასრულებელი და რუტინული კოგნიტური ამოცანები;
- **საშუალო უნარი**: პროფესიები დაბალანსებული ამოცანების პროფილებით ან ამოცანების სირთულის გარდამავალი დონეებით;
- **მაღალი უნარი**: პროფესიები არა-რუტინული ანალიტიკური და ინტერაქტიული ამოცანების მაღალი წილებით.

ამ კომპოზიტურმა საზომმა საშუალება მოგვცა, შეგვედგინა ყველა პროფესიის უნარების კატეგორიებში თანმიმდევრული და ლიტერატურასთან შესაბამისი კლასიფიკაციები, რაც ხელს უწყობს დასაქმების აგრეგაციას უნარების დონეების მიხედვით წლებისა და სექტორების მიხედვით.

შრომის ბაზრის პოლარიზაცია

შრომის ბაზრის პოლარიზაციის ინდექსი შექმნილია იმისთვის, რომ გაზომოს, თუ რა ხარისხით გადადის დასაქმება საშუალო უნარების პროფესიებიდან როგორც დაბალი, ისე მაღალი უნარების სამუშაო ადგილების მიმართულებით. გუს, მენინგისა და სალომონსის (Goos, Manning, and Salomons, 2009) მიერ შემოთავაზებული მიდგომის გამოყენებით, ინდექსი განისაზღვრება, როგორც დაბალი და მაღალი უნარების პროფესიების კომბინირებული დასაქმების წილების ფარდობა საშუალო უნარების პროფესიების წილთან:

$$\text{პოლარიზაციის } \textit{ინდექსი}: \frac{\text{დასაქმების } \textit{წილი}_{\textit{დაბალი კუნარები}} - \text{დასაქმების } \textit{წილი}_{\textit{მაღალი უნარები}}}{\text{დასაქმების } \textit{წილი}_{\textit{საშუალო კუნარები}}}$$

ინდექსის მზარდი მნიშვნელობა მიუთითებს პოლარიზაციის ხარისხის ზრდაზე – საშუალო უნარების სამუშაო ადგილების შემცირებაზე და დასაქმების მზარდ კონცენტრაციაზე უნარების სპექტრის ორივე ბოლოში.

ცხრილი 1. დასაქმების წილის დეკომპოზიცია უნარის დონის მიხედვით

წყარო: სექტორი, ავტორის გამოთვლები

ISET

ISET-ის კვლევით ინსტიტუტზე

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი არის მიუკერძოებელი, სამეცნიერო, ეკონომიკური კვლევითი ცენტრი, რომელიც ორიენტირებულია ეკონომიკის სფეროში მაღალი ხარისხის, აკადემიურად დასაბუთებული კვლევების ჩატარებაზე. ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის მუშაობა ეფუძნება სამეცნიერო სტანდარტებსა და მეთოდებს.

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტს ეკონომიკური ინდექსების და სამეცნიერო კვლევითი პუბლიკაციების ფართო პორტფელი აქვს. იგი ახორციელებს ტექნიკურ, ეკონომიკურ და სექტორულ ანალიზებს, ასევე აღწერით და შედარებით კვლევებს. ინსტიტუტი ქმნის და იყენებს მოწინავე ეკონომიკურ და რაოდენობრივ-ანალიტიკურ ინსტრუმენტებს და მონაცემთა ანალიზის მეთოდებს.

2011 წლიდან, დაარსების დღიდან, ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი იქცა ერთ-ერთ ყველაზე სანდო ეკონომიკურ ანალიტიკურ ცენტრად, რომელიც ცნობილია თავისი აკადემიური კეთილსინდისიერებით, მეთოდოლოგიური სიზუსტითა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული კვლევებით.

ინსტიტუტში მუშაობენ ეკონომისტები და მკვლევრები, რომელთა კვლევითი საქმიანობა მოიცავს მრავალფეროვან თემატიკას. სამეცნიერო საქმიანობის დიდი ნაწილი ხორციელდება საერთაშორისო ანალიტიკურ ცენტრებთან, აკადემიურ ინსტიტუტებთან და სხვადასხვა პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.

ISET

ISET POLICY INSTITUTE

www.iset-pi.ge

iset-pi@iset.ge

+995 322 507 177